პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 56 (13738) | სამშაბათი, 7 მარტი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲗᲐᲜ

6 მარტს მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ დიდ თეატრში, რომ შეხვედროდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲙᲝᲡᲘᲗᲘᲜᲡ.

კრება გახსნა პარტიის ფრუნზეს რაიკომის პირველმა მდივანმა Ბ. Ბ. ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲝᲕᲐᲛ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა Ვ. Ა. ᲙᲝᲒᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲛᲐ, „ფოლადმონტაჟის“ ტრესტის მოსკოვის პირველი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადიერმა Ი. Ი. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲛᲐ, მე-20 სკოლის მასწავლებელმა Ა. Პ. ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲐᲛ, მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტმა ᲝᲚᲔᲒ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲜᲘᲡᲐᲛ აღნიშნეს, რომ ამომრჩევლები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას, რომ ა. ნ. კოსიგინმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ფრუნზეს საარჩევნო ოლქში. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ 12 მარტს ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მშვიდობის განმტკიცებას, კომუნიზმს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელმა, ინჟინერმა Ბ. Პ. ᲕᲔᲚᲘᲙᲘᲜᲘ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა ეგებება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. ახლა ჩვენ განსაკუთრებით თვალნათლივ ვხედავთ სოციალისტური სამშობლოს გრანდიოზულ წარმატებებს. ახლა საბჭოთა კავშირზე რომ ვლაპარაკობთ, თვალწინ წარმოგვიდგება კოსმოსური ხომალდები და გიგანტური ელექტროსადგურები. ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მაღალ პოსტზე დიდ საყოფიერ მუშაობას ეწევა ალექსი ნიკოლოზისძე კოსიგინი. კარგად ვიცით, განაცხადა ორატორმა, რომ იგი მთელ თავის ძალღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას აბარებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეს.

Გ. Პ. ᲕᲔᲚᲘᲙᲘᲜᲘ მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მოსცენ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს ა. ნ. კოსიგინს.

შემდეგ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲗᲘᲜᲘᲡᲐ წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაიხადა იმ დიდი პატივისთვის, რომელიც მას მუშებმა, მეცნიერმა თანამშრომლებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა გაუწიეს, როცა დაასახელეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეს ნდობა, თქვა მან, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ იგი გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიზნებისა და პოლიტიკის მოწონებას, პარტიისა, რომლის ძალა მთელ ხალხთან მჭიდრო ერთობაა.

სამეს, რომელიც დიდმა ოქტომბერმა დაიწყო, წარმატებით განაგრძობს საბჭოთა ხალხი, სხვა ქვეყნების ასეული მილიონობით ადამიანი. გონების თვალს რომ ვავლებთ განვლილ გზას, ნიამაღით შეგიძლია ვთქვათ: გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მარად იკაშკაშებს და ალაფრთოვანებს ჩვენს და მომავალ თაობებს ახალი დიადი საქმეებისათვის.

ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაუხადა „გამოსულ ამხანაგებს კეთილი სიტყვებისათვის. რა თქმა უნდა, თქვა მან, კარგად მესმის, რომ ეს კეთილი სიტყვები უწინარეს ყოვლისა განეკუთვნება ჩვენს სახელოვან ლენინურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას. აღგზნებულმა ა. ნ. კოსიგინმა ასეთი სიტყვებით დაასრულა: ᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ 1966 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲝ-ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ 1966 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲝᲛᲘᲯᲕᲘᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲔᲗᲠᲝᲤᲐᲜᲣ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის კოლექტივს.

ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივს.

ᲡᲐᲢᲧᲘᲝᲛ, ᲪᲔᲚᲣᲚᲝᲖᲐ-ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲘᲠᲘᲚᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ საღმელის სატყეო კომბინატის კოლექტივს.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ თბილისის № 1 ღვინის ქარხნის, ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნისა და თბილისის კონიაკის ქარხნის კოლექტივებს.

ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ბორჯომის ხორცის კომბინატის კოლექტივს.

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოსა“ და თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებს.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ № 9 მოძრავი მექანიზებული კოლონისა და თბილისის ხისდამუშავებელი სახელოსნოს კოლექტივებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲝ-ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲝᲢᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲭᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲛᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ № 1 ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲔᲠᲥᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ, „ᲡᲐᲥᲛᲗᲐᲕᲐᲠᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡᲢᲠᲝᲡ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲮᲚᲔᲑᲘᲡᲢᲠᲝᲡ“ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲛᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲤᲣᲚᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲝᲜᲘᲡ მიიღეს „საქართველოს სამთო-ქიმიური მრეწველობის ტრესტის მახარაძის მაღაროთსამმართველოსა და ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲠᲘᲢᲘᲡ მაღაროთსამმართველოს, „საქკონსერვტრესტის“ ქარელის კენკროვანთა წვენების ქარხნის, „საქᲩᲘᲚᲓᲑᲝᲡᲢᲚᲘᲡ“ სამმართველოს საჩხერის რაიონული დამამზადებელი კანტორის კოლექტივებმა.

ᲐᲚᲘᲜᲘᲨᲜᲐ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს ᲩᲝᲠᲓᲝᲡ ᲑᲐᲠᲘᲢᲘᲡ მაღაროთსამმართველოსა და საქართველოს ᲒᲣᲛᲑᲠᲘᲜᲘᲡ მაღაროთსამმართველოს კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. ნადიკვარის № 194 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველი შეხვდა თელავის სახელმწიფო თეატრში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს **მიტროფანე იოანეს-ძე ᲙᲣᲜᲯᲐᲕᲐᲡ.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორმა ა. მეტროველმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მ. ი. კუჭავა დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

შეხვედრაზე გამოსულსას თელავის № 4 საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. კველიშვილმა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ც. მირიანაშვილმა, „საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების მთავარმა ინჟინერმა მ. ვარდოსანიძემ და სხვებმა ამომრჩევლებს მოუწოდეს ერთსულოვნად მისცენ ხმა მ. ი. კუჭავას.

შემდეგ გამოვიდა მ. ი. კუჭავა, რომელიც ძალლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მაღალი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც ეკუნს იყრის თბილისის ოქტომბრის № 23 საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ შშენებლობის მინისტრი **გრიგოლ სალიბინაშვილი** ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲛᲝᲓᲐ ᲨᲔᲯᲕᲓᲐ თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ლეკარსაბიშვილმა, აგრეთვე ამომრჩევლებმა თ. კილასონიამ, გ. ჭელიძემ და სხვებმა დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და ამომრჩევლებს მოუწოდეს ორჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა გ. ს. ვაშაკიძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული პატივისათვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ᲐᲛᲬᲧᲝᲜᲐ ᲖᲔᲘᲜᲣᲚᲐᲜᲐ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲝᲛᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲬᲣᲚᲐᲘᲐ** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ შეხვდა ქალაქ თბილისის 300 არჩევნების № 37 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ჯ. გახოკიძემ შეკრებილთ უამბო გ. გ. წულაიას ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ, დაახასიათა იგი როგორც საწარმოს სოუკეთესო მუშაკი. ახალგაზრდა კომუნისტის გ. გ. წულაიას შრომითი მაჩვენებლები ყოველთვის 140-150 პროცენტს უდრის. იგი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია.

— გიორი წულაია კიროვის რაიონული საბჭოს დეპუტატია, თქვა თბილისის ბამბის ფაბრიკის პარტიული პიროსმანის მდივანმა ი. რატიშვილმა. — იგი დიდ ყურადღებას უთმობს თავის ამომრჩეველთა განაწესის შეხრულებას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კანდიდატი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სახელმწიფო ასპარეზზეც.

ამომრჩევლებმა ნ. კობახიძემ, ვ. გუჯანიანმა და სხვებმა ამომრჩევლებს მოუწოდეს ერთსულოვნად მისცენ ხმა გ. გ. წულაიას.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც თავის ამომრჩეველებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში ვეძისის № 51 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს მსხმელს **რუსუდან გრიგოლის ასულ ᲞᲐᲭᲣᲚᲘᲜᲘᲡ.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა მ. ხუნდაძემ და სხვა ამომრჩევლებმა რ. გ. პაქსაშვილი დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი და ამომრჩევლებს მოუწოდეს 19 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა რ. გ. პაქსაშვილს.

დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ ძალღონეს და ეხერგიას არ დაიშურებს მათი მაღალი ნდობის გასამართლებლად.

ᲑᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ. დიღმის მერქანეებობა-მებოსტნეების საბჭოთა. მეურნეობის მწველავმა **მარიამ გიორგის ასულმა ᲩᲝᲩᲔᲚᲛᲐ** სახელი გითქვა თავდადებული შრომით საბჭოთა მეურნეობის ფერმაში. მირნილ 17 ძროხაზე იგი ყოველწლიურად ზრდის წველადობას. მაგალითად, შარშან მან თითოეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 2.412 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 2.700 კილოგრამი რძე. ამასთან შეინარჩუნა და გამოზარდა მთელი მონაგები. მარიამ გიორგის ასულ ჩოხელი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია.

ᲡᲣᲚᲘᲠᲝᲓᲔ ამიტომ დაასახელეს იგი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიღმის № 73 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებმა.

ამ დღეებში ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲝᲩᲔᲚᲘᲡ თავის ამომრჩევლებს შეხვდა. შეხვედრის დროს მან „ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ მთელ ძალღონეს, ენერგიასა და გამოცდილებას მოახმარს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. რაიონის კულტურის სახლში დუშეთის № 158 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ ამ ოლქში დაასახელებულ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, „სამტრესტის“ მმართველს **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲑᲔᲫᲐᲣᲠᲘ.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — დუშეთის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგმა ო. ხინოიევამ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ მას.

ა. ს. ბეჟაურმა ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა გაწეული ნდობისათვის და აღუთქვა, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

ᲫᲐᲕᲐᲠᲔᲚᲘ. სოფელ შილდის კოლმეურნეობის კულტურის სახლში შილდის № 192 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ ამ ოლქში დასახელებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სოფელ შილდის კუბინაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **ინდოკო სიკოსძე სეფაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა სოფელ შილდის კუიბინაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადიერმა ვ. ტეხაშვილმა, აგრეთვე შილდის პირველი საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. ხიზანიშვილმა, ამ სკოლის სამწყვანო ნაწილის გამგემ თ. თეკდორაშვილმა, სოფელ შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დ. როსტომაშვილმა შეკრებილთ გააცნეს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა. დაახასიათეს იგი როგორც უპარტიოების უფლებიანი ბლოკის ღირსეული კანდიდატი. მოუწოდეს ამომრჩევლებს ხმა მისცენ მას.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი ი. ს. სეფაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და აღუთქვა მათ, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. კარდანახის მეექვსეხეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი კარლანახის № 169 საარჩევნო ოლქში **ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲜ ᲢᲐᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲗᲔᲚᲔᲚᲨᲕᲘᲚᲘ** შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა კარდანახის მეექვსეხეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადიერმა გ. ტყავაშვილმა შეკრებილთ გაუცხო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და მოუწოდა მათ ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეულ კანდიდატს.

Გ. Პ. თანდაშვილმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და სიტყვა მისცა, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

ᲫᲘᲐᲗᲣᲠᲐ. კაცხის № 219 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველ **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡ-ᲫᲔ ᲩᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔᲡ.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა კაცხის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ჩიხელიძემ, აგრეთვე ამომრჩევლებმა კ. მოდებაძემ, პ. კუპატაძემ, შ. კუპატაძემ და სხვებმა დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი და ამომრჩევლებს მოუწოდეს ხმა მისცენ ა. ვ. ჩიქრაქაძეს.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც გულითადი მადლობა გადუხადა ამომრჩევლებს ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და აღუთქვა მათ, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტის საშუნდი სანგრეების მუშამ **ᲛᲐᲜᲐᲜᲢᲐ ᲘᲕᲔᲚᲘᲐᲜᲣᲡ-ᲫᲔ ᲚᲐᲜᲩᲐᲕᲐᲛ** 16 წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ვაგონი ქვანახშირი ამოიღო. თავდადებული შრომისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ლენინის № 247 საარჩევნო ოლქის მშრომელებმა იგი დაასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამ დღეებში მ. ი. ლანჩავა შეხვდა თავის ამომრჩევლებს. ნდობით აღჭურვილმა პირმა დ. მარუაშვილმა, აგრეთვე დასავლეთის შახტის მთავარმა ინჟინერმა ლ. ობოლაძემ, მეშახტე უ. ცირეკიძემ, მნორმავმა ე. არტემოვმა, ახალგაზრდა ამომრჩეველმა მ. ჭოხონელიძემ, ძველმა მეშახტემ პ. ნანიკაშვილმა და სხვებმა მ. ი. ლანჩავა დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი და მოუწოდეს ამომრჩევლებს ხმა მისცენ მას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მ. ი. ლანჩავამ, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული ნდობისათვის და აღუთქვა მათ, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ბათუმის გემთს

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთობა

ოსეხი, 4 მარტი. (საკუთარი). დღეს ომსკის საბჭოთა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შენაერთობათა კულტურის ახალ სასახლეში შეხვდნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გენადი ივანეს-ძე ვორონოვს.**

ოსეხი გულთბილად მიესალმნენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ომსკის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორმა ვ. ა. რიაბოვმა დამსწრეებს გააცნო კანდიდატის ცხოვრების გზა, ილაპარაკა ომსკელ ნავთობქიმიკოსთა მესანიშნავ საქმეებზე, რომლებიც ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის იუბილეს. ორატორმა მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ კომუნისტთა **და უპარტიოთა ბლოკის** კანდიდატს.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან მშრომელთა წარმომადგენლები — № 6 ტრანსპორტის ბრიგადირი ბ. ნ. სანდულენკო, სინთეზური კაუჩუკის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ფ. შეგჩენკო, № 3 სამედიცინო სანიტარული პუნქტის ექიმი ი. ნ. ლიბმანი, ბუნებრივ ინფექციათა ინსტიტუტის დირექტორი გ. ვ. ორონოვი, ავტოსაგზაო ინსტიტუტის სტუდენტი ნინო რედკინა.

ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოთქვეს ამ ჩვენს სამშობლოზე, პარტიაზე, რომლის წინამძღოლობით ხალხმა ორმოცდათი გმირული წელი განვლო კომუნიზმის გზაზე. ორატორებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს 12 მარტს ხმა მისცენ პარტიისა **და ხალხის ერთგულ** შვილს.

შემდეგ გამოვიდა გ. ი. ვორონოვი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა საარჩევნო **ოლქის** მშრომელებს მაღალი ნდობისათვის და უსურვა ციმბირელებს დიდი შრომითი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჯანმრთელობა და პირადი ბედნიერება.

ტოლიატი, (ეუბიშევის ოლქი). 4 მარტი. (საკდესი). ქალაქ ტოლიატის მშრომელებმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი.** და დღეს ახალგაზრდა ქალაქის ბევრი საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ თავიანთ კანდიდატთან შეხვედრაზე.

კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის საკტო დარბაზში მოვიდნენ საავტომობილო ქარხნის მშენებლები, აზოტიანი სასუქების ქარხნისა და სინთეზური კაუჩუკის ქარხნის ქიმიკოსები, სტუდენტები, მასწავლებლები, ექიმები — ტოლიატის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს — „კუიბიშევჰიდრომშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს ა. მ. ხარიტონოვს. მან შეკრებილთა გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზა, აღნიშნა მისი დიდი წვლილი სოციალისტური მშენებლობის საქმეში, საერთაშორისო კომუნისტური **და** მუშათა მოძრაობის ერთობის **განმტკიცებაში.** ორატორმა მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტური პარტიის **ერთგულ** შვილს ს. ა. **სუსლოვს.**

ამ წინადღიანს მხურვალედ დაუჭირეს მხარი „კუიბიშევჰიდრომშენის“ სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ნ. დ. მანუილოვმა, სინთეზური კაუჩუკის ქარხნის მეაპარატემ გ. ე. ზავიდსკაიამ, კომკავშირის ტოლიატის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვიქტორ კოვალიოვმა, ქალაქის მეორე საავადმყოფოს ექიმმა ვ. ა. სუხოდოლსკაიამ, „კუიბიშევჰიდრომშენის“ სამმართველოს უფროსმა ნ. ფ. სემიზოროვმა, ცეკენტმანქანათსაშენებელი ქარხნის სამეცდლო-საწარმოს საამქროს ბრიგადირმა ო. ფ. გლუშკოვმა, პარტიის ტოლიატის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ნ. ანდრეევმა, სკკ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ი. ვოროტნიკოვმა. მათ აღნიშნეს, რომ ტოლიატის საარჩევნო ოლქის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ საიუბილეო წლის დიდი ამოცანები, ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მ. ა. სუსლოვს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა. დეპუტატობის კანდიდატმა მადლობა გადუხადა ქალაქ ტოლიატის მშრომელებს დიდი ნდობისათვის და აღუთქვა შეკრებილთ, რომ კვლავაც მთელ თავის ძალღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარს საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის სამსახურს.

იაროსლავლი. (საკუთარი კორ.). სახეიმოდ იყო მორთული 3 მარტს მოტორის ქარხნის კულტურის სასახლე. ლენინის საარჩევნო ოლქის ათასზე მეტი ამომრჩეველი — **დიზელის** ძრავების **შემმუქნენი,** ქიმიკოსები, მესალტეები, მშენებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეშაკები შეიკრიბნენ აქ წინასაარჩევნო შეხვედრაზე. ისინი გულთბილად მიესალმნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პეტრე ნილას-ძე დემიჩევს.**

პიველს სიტყვა მიეცა ნდობით აღჭურვილ პირს — მოტორის ქარხნის მთავარ მეტალურგს ი. ფ. ეპროსიმოვს. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მას დიდ სახელმწიფო და პარტიულ მუშაობაზე და ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ხმა მისცენ პარტიის ერთგულ შვილს პ. ნ. დემიჩევს.

ნდობით აღჭურვილ პირს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კრებაზე გამოსულმა ამომრჩეველებმა. სალტეების ქარხნის ავტოსაბურავების ამწყობმა სოციალისტური შრომის გმირმა კ. ი. კოზლოვმა, № 57 საშუალო სკოლის დირექტორმა მ. დ. კუზმენკომ, სინთეზური კაუჩუკის მონომერების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა გ. ა. სტეპანოვმა, კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანმა ვ. ფ. მურაშოვმა, იაროსლავლის საქალაქო საბინაო მშენებლობის ტრესტის პარტკომის მდივანმა ბ. ნ. ლუკიანოვმა. ორატორებმა ილაპარაკეს იმ შესანიშნავ შრომის წარმატებებზე, რომლებიც საწარმოთა კოლექტივებმა მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იმაზე, თუ როგორ ხორცელდება საბჭოების მომავალი არჩევნებისა და დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ამომრჩევლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ბ. ნ. დემიჩევის სიტყვა, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს მაღალი ნდობისა და პატივისათვის.

ნოვომოსკოვსკი, (ტულის ოლქი). (საკდესი). ნოვომოსკოვსკის საარჩევნო ოლქში დასახელებული რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ვ. ანდროპოვი** 3 მარტს ეწვია ნოვომოსკოვსკის ქიმიურ კომბინატს, გაეცნო ამაოკის ქარხნის მართვის სადისპეტჩერო პუნქტსა და საწარმოო პროცესებს.

ი. ვ. ანდროპოვი ესაუბრა კომბინატის მუშებს, ინჟინერებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, გამოკითხა მათი შრომისა და ცხოვრების პირობები.

ნაშუადღევს ქიმიკოსთა კულტურის სასახლეში გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა **იური ვლადიმერის-ძე ანდროპოვთან.** დარბაზში შეიკრიბნენ კომბინატის მუშაკები, მშენებლები, მეშახტეები და ენერგეტიკოსები, ნოვომოსკოვსკის რაიონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები.

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი — ნოვომოსკოვსკის ქიმიური კომბინატის საამქროს უფროსი მოადგილე ბ. პ. ჩეკმაზოვი. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის ღვაწლზე. სამშობლოს წინაშე და ამომრჩეველებს მოუწოდა არჩევნების დღეს ხმა მისცენ ი. ვ. ანდროპოვს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე ნოვომოსკოვსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ზეინკალი ვ. ნ. ზაიცევი, სახლმშენებლობის ტრესტის მშენებელთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი დ. მ. ბარტენევი, კოლმეურნეობა „გაერთიანების“ თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ე. ი. ელსუკოვა, № 38 შახტის ზეინკალი ს. ჰ. სინაიკი, სრულიად საკავშირო ალკ ნოვომოსკოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. შაბანოვი და სკკ ნოვომოსკოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ს. არბუზოვი. მათ ილაპარაკეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა მონოლითურ ერთობაზე, **ამ** დიდ პოლიტიკურ **და** შრომითს აღმავლობაზე, რომლითაც საბჭოთა ადამიანები ეგებებიან რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ი. ვ. ანდროპოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან დიდი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს მაღალი ნდობისათვის.

სარატოვი. (საკდესი). 3 მარტს ამომრჩეველებს შეხვედრა ჰქონდათ **სარატოვი**ს ქიმიური კომბინატის **ბოლოვიხინ**ის **ბოლშევიკ**ის პოლიმერიზაციის ... ...

საქართველოს სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა

ეროვნული

1967 [illegible] 13 [illegible]

ძმური დახმარება

მოლაპარაკება სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ

1967 წლის 13 თებერვლიდან 3 მარტამდე საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით იმყოფებოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრის, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კიმ ირის მეთაურობით. მოსკოვში ყოფნის დროს ამხ. კიმ ირსა და დელეგაციის წევრებს მეგობრული საუბრები ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების შესაბამისად სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ეკონომიკისა და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. მხარეებმა განიხილეს აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის საერთაშორისო [illegible] საკითხები.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო დელეგაციამ [illegible] კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვის მეთაურობით.

კორეის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კიმ ირი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მსვლელობაზე, სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა ეკონომიური ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის გამო და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ერთსულოვნად ისწრაფვიან კიდევ უფრო გაფართოონ სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობა და საგარეო ვაჭრობა, რომლებიც წარმატებით ვითარდება და სავსებით შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 1967 წელს ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში თანამშრომლობის, საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ, აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის თანამშრომლობის შესახებ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვს გარდა იყო ნოვოსიბირსკში, მინსკში, გორკში, სადაც დაათვალიერა საბრეწველო საწარმოები, მეცნიერული და კულტურული დაწესებულებანი. მოძმე კორეელი ხალხის წარმომადგენლებს ყველგან გულთბილად და გულითადად ხვდებოდნენ საბჭოთა მშრომელები, რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები. (საკდესი).

სახელოვანი იუგილე

სოფია. ბულგარელმა კომუნისტებმა და მთელმა ბულგარელმა ხალხმა აღნიშნეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ 40 წლისთავი. გაზეთი, რომელიც პირველად 1927 წლის 5 მარტს გამოვიდა, ფარულად განაგრძობს გაზეთ „რაბოტნიჩესკი ვესტნიკის“ რევოლუციურ ტრადიციებს, რომელიც იბრძოდა ბულგარეთში სოციალისტური იდეების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. „რაბოტნიჩესკო დელო“ ბულგარეთის ყველაზე მასობრივი გაზეთია, მისი ტირაჟი აღემატება ერთად აღებული ყველა რეგოლუციამდელი ბურჟუაზიული გაზეთის ტირაჟს.

დღეს, წერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“, „რაბოტნიჩესკო დელო“ გამოხატავს პარტიისა და ხალხის კოლექტიურ აზრს (ეა კოლექტიურ გამოცდილებას, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მშრომელთა დარაზმვაში იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ ბულგარეთს დაუსახა. გაზეთი აქტიურად იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპთა გამარჯვებისათვის საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრობისა და ძმობის მქადაგებელია. (საკდესი).

მომწიფებული აუცილებლობა

ბერლინი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაინმანმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც წინადადებას იძლევა გაიმართოს მოლაპარაკება გერმანიის კომპარტიის აკრძალვის გაუქმების შესახებ. წერილი შეიცავს აგრეთვე ნინადადებებს განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გერმანიის კომუნისტური პარტიის სრული ლეგალიზაცია: კერძოდ, გამოიცეს ბრძანებულება კომინისტიის და ყველა სასამართლო პროცესის შეწყვეტის შესახებ იმათ მიმართ, ვისაც ბრალად ედებოდა გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის დარღვევა; უზრუნველყოფილ იქნეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის აზრის თავისუფლება; გაუქმდეს გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა.

(საკდესი).

რუმინეთისა და საბერძნეთის კომპარტიათა წარმომადგენლების შეხვედრა

ბუქარესტი. აქ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე საბერძნეთის კომპარტიის დელეგაციის რუმინეთში ვიზიტის შესახებ. მოლაპარაკებაზე საბერძნეთის კომპარტიის დელეგაციას მეთაურობდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. კოლიანისი, რუმინეთის დელეგაციას — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ. დელეგაციებმა დიდი შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებენ აგრესიულ ომს ვიეტნამში, ევროპის კონტინენტზე ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ მოესპოთ სამხედრო ბაზები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, გაეყვანათ მთელი ჯარები სხვა ქვეყნებიდან ეროვნულ ფარგლებში, აეკრძალათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ატომური იარაღის ხელში ჩაგდება.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ევროპის უშიშროების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის უნდა იხელმძღვანელონ ევროპის რეალური სინამდვილით, უწინარეს ყოვლისა ცნონ ორი გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობა.

ორივე პარტიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე პირობებში კაცობრიობის მომავლისათვის საარსებო დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. (საკდესი).

მოითხოვენ კომპარტიის ლეგალიზაციას

ათენი. საბერძნეთის ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების სამმა ლიდერმა — სტეფანოპულოსმა, მარკეზინისმა და ცირიმოკოსმა მოითხოვეს საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია. ლიდერებმა ეს განაცხადეს გაზეთ „ავგის“ რედაქციას, რომელმაც შეკითხვით მიმართა მათ საბერძნეთის პარტიებისადმი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ა. გროზოსის წერილთან დაკავშირებით. ამ წერილში საბერძნეთის კომპარტია აღნიშნავს, რომ საბერძნეთის პოლიტიკური კრიზისის გადაჭრას არჩევნების გზით წინ უნდა უძღოდეს ყველა საგანგებო კანონისა და დეკრეტის გაუქმება და ყველა პოლიტიკური პარტიისათვის იმის თანასწორი უფლების მინიჭება, რომ მონაწილეობდნენ არჩევნებში, რათა მომავალში საბერძნეთის ყველა პოლიტიკურ ძალას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში.

ბოლო ომი მინის გამოტესვლა

პანოი. 6 მარტი. (საკდესი). „ჩვენი პარტია მუშათა კლასის უმაღლესი ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს ხალხს, თავის კლასს, რევოლუციას“, — განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა პატეის პროვინციის კადრის მუშაკთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ეს სიტყვა გამოქვეყნებულია გაზეთ „ნიან ზანში“.

ხო ში მინი შეეხო ვიეტნამის ამბების განვითარებას და თქვა: ახლა მთელი ჩვენი პარტიის, მთელი ხალხის პირველი რიგის ამოცანაა წარმოება, მისი წარმატებით განვითარება. მეორე ამოცანაა საშაერო თავდაცვისა და შეიარაღებული ბრძოლისუნარიანი ორგანიზაცია, რათა შევაკავოროთ მსხვერპლი მოსახლეობაში... შესაძლოა მომდინარე წელს ამერიკელმა აგრესორებმა კიდევ უფრო რიხკიანად და უგუნურად წარმართონ ომი. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ წინაღუდგეთ ამას. განუზომლად მეტი ძალღონის დაძაბვა მოგვიხდება როგორც წარმოებაში, ისე ბრძოლაში, თქვა დასასრულ ხო ში მინმა.

საფრანგეთი მონაწილეობას არ მიიღებს სეატოს სამხედრო მანევრებში

პარიზი, 4 მარტი. (საკდესი). როგორც პარიზში გამოაცხადეს, საფრანგეთის ჯარები მონაწილეობას არ მიიღებენ სეატოს ბლოკის ორი კვირის სამხედრო მანევრებში.

ეს სამხედრო მანევრები, რომლებიც ფილიპინის კუნძულების რაიონში მოეწყობა, 7 მარტს უნდა დაიწყოს. მანევრებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სეატოს წევრი ქვეყნების სახმელეთო ჯარებმა, აგრეთვე ავიაციამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა.

მარტო საფრანგეთი როდი ამბობს უარს დაექვემდებაროს სეატოს სამხედრო სარდლობას, რომელსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატები. მანევრებში მონაწილეობას არ მიიღებენ პაკისტანის ჯარები. ამას გარდა, სეატოს წევრი კიდევ ორი სახელმწიფო — ახალი ზელანდია და ტაილანდი მანევრებზე გაგზავნიან მხოლოდ მეთვალყურეებს. ამიგად, დღეისათვის ოთხამდე შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ მანევრებში. ესენია ფილიპინები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და ავსტრალია.

ზოგიერთი ევროპული სენატორი ეპატაჟურ ინტერვიუს ამოუნოდებს...

ნიუ-იორკი. სენატორმა ედვარდ კენედიმ ბოსტონში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა განახორციელონ „საგანგებო ღონისძიებანი“ ვიეტნამის მშვიდობის მისაღწევად.

დადგა დრო ვიეტნამის საკითხზე მოლაპარაკების დასაწყებად, თქვა სენატორმა. მან მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეცადონ შეანელონ ომი და ახლავე დაიწყონ მოლაპარაკება.

ე. კენედიმ მხარი დაუჭირა თავისი ძმის სენატორ რობერტ კენედის პობაციას, რომელმაც სენატში გამოსვლის დროს მოითხოვა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. (საკდესი).

ნიქსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი წინააღმდეგია, რომ თუნდაც რამდენიმე ხნით შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. მან გუშინ ევროპაში გაფრენის წინ განაცხადა, რომ დაბომბვის შეწყვეტა მხოლოდ გაანაგრძლიკვებს ომს, რამდენადაც იგი „გაამხნევებს მტერს“. ნიქსონის სიტყვით, ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის რამდენჯერმე შეწყვეტამ წინათ როდი მოაახლოვა მშვიდობა.

ეს განცხადება ნიუ-იორკის აეროპორტში ნიქსონმა გააკეთა სენატორ რობერტ კენედის ამასწინანდელი იმ წინადადების პასუხად, რომ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, რაც ხელს შეუწყობს მოლაპარაკების დაწყებას ვიეტნამის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ.

პოლიტიკური ანგარიშის გასწორების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). ოთხი ათას ხუთასი კაცი შეიკრიბა გუშინ პარლამში საპროტესტო მიტინგზე იმის წინააღმდეგ, რომ ადამ კლეიტონ პაუელს წართვეს მისი ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში. წარმომადგენელთა პალატამ გასულ კვირაში ხმის უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება გაადგეს კონგრესიდან პაუელი.

უ ტანი ნიუ-იორკს დაბრუნდა

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი ნიუ-იორკს დაბრუნდა ბიმიდან. სადაც დასასვენებლად იმყოფებოდა. ნიუ-იორკში მომაკლილ მოკლე ხნით შეჩერდა ლონდონში, სადაც შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯორჯ ბრაუნს.

ნიუ-იორკის აეროპორტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჟურნალისტებს განაცხადა: „უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებული ვარ, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის შეწყვეტა ხელს შეუწყობდა სასარგებლო მოლაპარაკების დაწყებას“ ვიეტნამის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ.

ვიზიტი დამთავრდა

სტამბოლი, 6 მარტი. (საკდესი). 2-6 მარტს თურქეთში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I. აფრიკაში ეთიოპიის იმპერატორმა თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან განიხილა ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

მხარეებმა ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას.

ინდოეთი

სენატორი ტერეზინგი

ამოუნოდებს...

ნიუ-იორკი. სენატორმა ედვარდ კენედიმ ბოსტონში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა განახორციელონ „საგანგებო ღონისძიებანი“ ვიეტნამის მშვიდობის მისაღწევად.

დადგა დრო ვიეტნამის საკითხზე მოლაპარაკების დასაწყებად, თქვა სენატორმა. მან მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეცადონ შეანელონ ომი და ახლავე დაიწყონ მოლაპარაკება.

ე. კენედიმ მხარი დაუჭირა თავისი ძმის სენატორ რობერტ კენედის პობაციას, რომელმაც სენატში გამოსვლის დროს მოითხოვა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. (საკდესი).

ნიქსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი წინააღმდეგია, რომ თუნდაც რამდენიმე ხნით შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. მან გუშინ ევროპაში გაფრენის წინ განაცხადა, რომ დაბომბვის შეწყვეტამ ჩრდილოეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] ოლ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ტურისტული მატარებლით

საქმიანი სტუმარ-მასპინძლობა

სურათზე: გულრიფშის რაიონის მშრომელთა ერთი ჯგუფი თბილისში.
ფოტო გ. კობახიძისა.

ქვლავ ჩამოდგა თბილისის ვაგზალში ტურისტულ-თეატრალური „შოთა რუსთაველი", რომელმაც გუშინ დედაქალაქში ჩამოიყვანა რაიონის მშრომელთა ექსკურსიის მონაწილენი. გულთბილად შეხვდნენ თბილისის ვაგზალში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

გულრიფშელებმა გულდასმით დათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ადგილები, ახალმშენებლობანი. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ნახეს ბალეტი „სინათლე".

გულრიფშელი ექსკურსანტები სიამაყის გრძნობით ჩამოვედით დედაქალაქში. რამდენჯერაც უნდა ნახო თბილისი, იგი ყოველთვის სიახლისა და წინსვლის მაუწყებელია. ჩვენს დელეგაციაში არიან ხოფლის მეურნეობის ნოვატორები, მრეწველობისა და სხვა დარგების მოწინავენი — სოციალისტური შრომის გმირები.

საიუბილეო წელს გულრიფშელი მშრომელები საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ. ჩაის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება 125 პროცენტით შესრულდა. კარგი მაჩვენებლებისათვის რაიონს პარტიის აფხაზეთის სოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსების, დაფნის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. ვადაზე ადრე განაღდებულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება, შარშან მთავრობამ რაიონის 63 მოწინავე დაჯილდოვა ორდენებითა და მედლებით.

ვის არ მოხიბლავს გულრიფში თავისი მუდამ მწვანე ლამაზი ბუნებით. აქ არის მსოფლიოში ცნობილი ამატელიტბა. მნახველს იზიდავს კოდორის ხეობა, შავი ზღვის სანაპიროები. გულრიფში ყოველ წელს უფრო ლამაზდება.

ხუთწლედის მეორე წელს რაიონის მშრომელები უფრო მეტ წარმატებებს შიაღწევენ. გათვალისწინებულია სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები შესრულდეს 7 ნოემბრისათვის, ხოლო ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა — 20 აგვისტოსათვის. შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გადიდდება სიმინდის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხილის, თამბაქოს, დაფნის ფოთლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეულია პირველი წარმატებები. რაიონმა 3 მარტისათვის 102 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

მინდვრებსა და პლანტაციებში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. ხულმალე დამთავრდება ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება და ბუჩქის გასხვლა. კოლმეურნეობები და მექანიზატორები დღითიდღე აძლიერებენ სამუშაოთა ტემპებს. წელს დედა-სამშობლოს მოვცემთ 2 ათას ტონა მაღალხარისხოვან თამბაქოს ნედლეულს. ეს აფხაზეთის ახლ რესპუბლიკის წლიური დავალების 27 პროცენტს შეადგენს. ხოფლის მეურნეობის მუშაკთა მხარდამხარ შრომობენ ჩვენი რაიონის მრეწველობის მუშაკებიც.

გ. დავითაია,
გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მეორე ავტომოტოლატარიის სტარტი

56 ათასი დიდი მოგება გათამაშდება მეორე ავტომოტოლატარიაში. არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტში საკადეხის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ახალმა ლატარიამ უკვე აიღო სტარტი — მარტიდან დაიწყო ბილეთების გაყიდვა ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში. მისი საერთო თანხა პირველთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა და 100 მილიონ მანეთს შეადგენს. ბედნიერი ბილეთების მფლობელი 56 ათასი კაციდან 8.200 მოიგებს ავტომანქანას. გათამაშდება 1.400 ავტომანქანა „ვოლგა", 2.800 „მოსკვიჩ-408" და 4.000 „ზაპოროჟეცი".

არანაკლებ დიდი სიურპრიზები მოელით მოტომოყვარულებს. მოგებათა სიაშია 18.400 მოტოციკლი (აქედან 8.000 იტალიური მოტოციკლი), 8.000 მოტოროლერი, 2.000 მოპედი და 12.400 მოტოველოსიპედი.

ლატარიის ბილეთის ღირებულება კვლავ ერთი მანეთია, თითოეული მოგებისა კი 120-დან 5.000 მანეთამდე. ახალი ავტომოტოლატარიის სახსრები მოხმარდება შემდგომ თავდაცვითმასობრივ მუშაობას მოსახლეობაში, სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტის განვითარებას, სასწავლებელთა და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. (საკადესი).

დათვების ყიშლაღები

დათვები რომ „კარგი მეოჯახენი" არიან, ეს ძველი ზღაპრებიდან ვიცით. მაგრამ ტაჯიკი მონადირეები ერთხმად ამტკიცებენ, რომ დათვების ქოხები, უფრო სწორად მათი ალაროები ამბიანობა როდია. ყოფილა დათვების მთელი სოფლებიც კი. მაგალითად, დათვები ცხოვრობენ უკაცრელ ყიშლაღებში იფფურსა და ჯაგეთში, რომლებიც კარატეგინის მთებში მდებარეობენ. ამ ყიშლაღებიდან ხალხი ჯერ კიდევ ათი წლის წინათ გადასახლდა ბარში.

მიგდებულ ყიშლაღებში მხეცები სარგებლობენ არა მარტო ალაროყვითით, არამედ ბალეებითაც. კარგი მეურნეებივით აგროვებენ ჩამოცვენილ ხილს, ძერებიან ხეზე და ანჯღრევენ მას. გამძღარი და მშვიდი დათვები დაბაჯბაჯებენ სოფლების ქუჩებში...

ასე ამბობენ მონადირეები. საინტერესოა, რას გვეტყვიან მეცნიერები?

— დიახ, ეს ასეა, დათვები ცხოვრობენ მიტოვებულ ყიშლაღებში, თქვა ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ა. ი. სოკოლოვმა. — ვაპირებ ექსპედიცია მოვაწყო პამირის მაღალი მთის რაიონებში. რათა განვაგრძო მათი ქცევის შესწავლა. მინდა მოვინახულო ეს ადგილები, სადაც „დათვების სოფლები" შეიქმნა...

ლ. ლევიტინი.

დუშანბე.

გ. ე. ალექსიძე— ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან არსებული კარწახის ზონალური აგროკემიური ლაბორატორიის გამგემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ესტატეს-ძე ალექსიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე „ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„თუთის ახალი ჯიშების ბიოლოგიური და კვებითი თვისებები და მათი დარაიონება საქართველოში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ე. ალექსიძისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ჰოლონელ მეცნიერებთან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტს მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული საზღვარგარეთის ქვეყნების პალეობიოლოგებთან, კერძოდ, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პალეოზოოლოგიის ინსტიტუტთან. ეს ურთიერთობა გამოიხატება სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთგაცვლით, მეცნიერ-მუშაკების მივლინებებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მეცნიერების ამ დარგის კვლევის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტები პალეობიოლოგიის კურსს სწავლობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ლ. დავითაშვილის სახელმძღვანელოს მიხედვით. ამავე დროს პოლონელი სპეციალისტები დიდი ინტერესით ეცნობიან ქართველ მეცნიერთა შრომებს.

ამ დღეებში პოლონეთიდან დაბრუნდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ნინი გამყრელიძე, რომელიც ოთხი თვით იყო მივლინებული პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პალეოზოოლოგიის ინსტიტუტში.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ბულური შეხვდა ნ. გამყრელიძეს და სთხოვა მას მოეთხრო, რა კონკრეტული მიზნით იყო მივლინებული პოლონეთში და რას სწავლობდა იგი პოლონელი მეცნიერებისაგან.

— პროფესორების ლ. დავითაშვილისა და ნ. ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით ვსწავლობ მეზოზოიური ხანის გადაშენებული ორსაგდულიანთა (მოლუსკების) ერთ-ერთ ჯგუფს. ეს ნამარხი ორგანიზმები მოთავსებულია ძალიან მკვრივ კირქვებში. ამის გამო ძალიან ძნელია ნიყარის ამოღება ქანიდან ისე, რომ იგი არ დაზიანდეს. პოლონელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ქანებიდან განამარცხებული ორგანიზმების ამოღებისა და გაწმენდის ეფექტური ქიმიური მეთოდი.

ჩემი მივლინების ძირითად მიზანს შეადგენდა სწორედ ამ მეთოდის შესწავლა და მისი დანერგვა ჩვენს ინსტიტუტში. ეს საშუალებას მოგვცემს დავამუშაოთ საქართველოს ცარცული ასაკის კირქვების დიდი რაოდენობა, რის შედეგადაც მიღებული იქნება მდიდარი და უნიკალური პალეონტოლოგიური მასალა.

ამ მასალის დამუშავება დაეხმარება ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს აწარმოონ პალეობიოლოგიური გამოკვლევები და მიიღონ მნიშვნელოვანი გეოლოგიური დასკვნები.

უნდა აღვნიშნო, რომ პოლონელმა მეგობრებმა მუშაობის ძალიან კარგი პირობები შემიქმნეს. იქ ყოფნის დროს მონაწილეობა მივიღე ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საველე ექსპედიციებში. ახლის ვეცნობოდი პოლონელი მეცნიერების შრომებს, ამავე დროს დავათვალიერე ვარშავა, კრაკოვი, პოზნანისა და სხვა ქალაქების პალეონტოლოგიური დაწესებულებები.

* * *

სურათზე: მდინარე ვისლის სანაპირო. მარცხნიდან — პროფესორი რ. კოზლოვსკი და ნ. გამყრელიძე.

ჩვენი პლანეტის ამბავი

გატონობენ ქარები

გალტიისპირეთში, რუსეთის ცენტრალურ ოლქებში ცივი ანტიციკლონები შემოიჭრა. მართალია, დღისით ყინვებმა მზის სხივების ვერ ბედაღლო შვილი, ბარამეთ, ...